საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის - ლაშა თავართქილაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

სახელი, გვარი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 31.07.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ლაშა თავართქილაძის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 31 დეკემბრის №1/164 განკარგულებით დაწყებული, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში კანდიდატ **ლაშა თავართქილაძის** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

კანდიდატი ლაშა თავართქილაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების" შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ლაშა თავართქილაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამ დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით, როგორებიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ლაშა თავართქილაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; ანტიკორუფციული ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ლაშა თავართქილაძის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან

მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები და კითხვარები. ამასთან, გავითვალისწინე კანდიდატის მიერ შევსებულ განაცხადში მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი თვისებები.

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის**</u> მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მივიღე, რომ ლაშა თავართქილაძის შესახებ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები მას ახასიათებენ დადებითად. გამოარჩევენ მის პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, მოვალეობების და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას და სხვა დადებით თვისებებს. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მითითებული ინფორმაციის მხედველობაში მიღებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ლაშა თავართქილაძეს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება, სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. აქვე აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის გამო დაკისრებული ჯარიმა მას გადახდილი აქვს დროულად.

<u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც პიროვნულად მტკიცე, შეუვალ და დამოუკიდებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ კანდიდატს შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, გამოირჩევა პროფესიული პრინციპულობით. კანდიდატის პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ ლაშა თავართქილაძე არ იყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ლაშა თავართქილაძე არის ურთიერთობისას კორექტული, თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული და კორექტული. ასევე გავითვალისწინე, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ მიმდინარეობს. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ 2018 წლის 29 ივნისს კანდიდატი ცნობილია დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სასამართლოს უპატივცემულობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო.

საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე საქმისწარმოების ელექტრონული საძიებო სისტემის მეშვეობით მოძიებულ იქნა ერთი ადმინისტრაციული საქმე, სადაც საჩივრის ავტორია ლაშა თავართქილაძე, მოპასუხე მხარე - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით, ლაშა თავართქილაძის საჩივარი დაკმაყოფილდა.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის**</u> მიხედვით კანდიდატის შეფა-

სებისას გავითვალისწინე, რომ მის პიროვნულ თვისებებსა და პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, ლაშა თავართქილაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის სამოსამართლო საქმიანობასთან, მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებთან და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

<u>**ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან**</u> დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ ლაშა თავართქილაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კანდიდატი, აღნიშნული კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების" შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. ანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ლაშა თავართქილაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, როგორიც არის: სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის - ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების და განჩინების შესწავლით მიღებულ ინფორმაციას და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>**სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებლის**</u> მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე საჯარო მოსმენის დროს მის მიერ გამოვლენილი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სამართლის ცოდნის დონე და,

აგრეთვე, - მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში შესაბამისი სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე.

კანდიდატ ლაშა თავართქილაძის საჯარო მოსმენა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაიმართა 2025 წლის 28 აპრილს, რა დროსაც საბჭოს წევრებმა მას დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა. შეფასების პროცესში ასევე შესწავლილი იქნა ლაშა თავართქილაძის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებები, კერძოდ, - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 01 ივნისის №2/ბ-5397-22 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ოქტომბრის №2/ბ-2438-23 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 22 თებერვლის №2/ბ-231-23 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 28 ივნისის №2/ბ-1930-24 გადაწყვეტილება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და განჩინების შესწავლისა და საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ლაშა თავართქილაძე კარგად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებისას დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო ძირითადად ვრცელი და არგუმენტირებული, რა დროსაც იშველიებდა საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას. უნდა აღინიშნოს, რომ ლაშა თავართქილაძეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 11 წლიანი (11 წელი და 2 თვე) გამოცდილება და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში/პალატაში. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა ასევე წარმატებით გაარკვია თავი კონსტიტუციურ სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს. მიმაჩნია, რომ კანდიდატმა, დასმულ შეკითხვებზე, ძირითადად დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები.

<u>**კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან**</u> დაკავშირებით აგრეთვე მივიღე მხედველობაში, რომ ლაშა თავართქილაძეს აქვს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, არგუმენტირებული და დასაბუთებული იყო. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო, არის კვალიფიციური და თანმიმდევრული.

კანდიდატის **<u>წერის უნარის</u>** შეფასებისას გავითვალისწინე მის მიერ საქმეთა განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები, რითაც დასტურდება, რომ ლაშა თავართქილაძე გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები და განჩინება შედგენილია მარტივი და გასაგები ენით.

კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, დასაბუთებისას მას გამოყენებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული სასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის</u> შეფასებისას მხედველობაში მივიღე ის გარემოება, რომ საჯარო მოსმენის დროს ლაშა თავართქილაძის მსჯელობა იყო თანმიმდევრული და ლოგიკური, მეტყველება - მკაფიო და გამართული. მიმაჩნია, რომ კანდიდატი აგრეთვე გამოირჩევა სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით.

<u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით</u> შეიძლება ითქვას, რომ ლაშა თავართქილაძე მიზანდასახული, პრინციპული, საქმისადმი ერთგული, თავშეკავებული პიროვნებაა. ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ასევე მხედველობაში მივიღე საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის მიხედვით ლაშა თავართქილაძეს საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 84,3% შემთხვევაში, ხოლო საქმეთა 68,2% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 88,1% შემთხვევაში. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (978 დღეში) დასრულებული აქვს 575 საქმე (დღეში საშუალოდ 0,6 საქმე).

აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური წარმოება დაწყებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ლაშა თავართქილაძე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით</u> კანდიდატის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ლაშა თავართქილაძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნის და უნარების შეძენის ინტერესი. მიღებულ ცოდნას ის წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. 2007 წელს მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. ამასთან, 2003 წელს მან ჩააბარა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, 2006 წელს - ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდა, 2006 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით. კანდიდატი აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. ამასთან, კანდიდატი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

<u>პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ლაშა თავართქილაძე აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

კერძოდ, ლაშა თავართქილაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: 2023 წლის 11-12 თებერვალი, ყვარელი, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ერთობლივად გამართული სამუშაო შეხვედრა - „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით"; 2023 წლის 14-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები"; 2024 წლის 30 ნოემბერი - 01 დეკემბერი, თბილისი, გაერთა ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) ტრენინგი - „ლტოლვილთა სამართალი" და სხვა.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ **ლაშა თავართქილაძის** მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **89** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 31.07.2025